პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2025 წლის --- ივლისი

ქ. წყალტუბო

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ -სათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული, როიალის“ ესტონია“(სერიული N5571, საინვენტარიზაციო N001474, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 0 (ნული) ლარი) , უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა, მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 10 ივლისის №48-4825191106 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ- თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიიდან 2025 წლის 4 ივლისის მიღება-ჩაბარების აქტით (თან ერთვის) უსასყიდლოდ, უვადოთ, სარგებლობის უფლებით გადმოეცა ერთი ერთეული მოძრავი აქტივი, კერძოდ: როიალი ,,ესტონია'', სერიული N5571; საინვენტარიზაციო N001474, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 0 (ნული) ლარი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 106[1]-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ -სათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული, როიალის“ ესტონია“(სერიული N5571, საინვენტარიზაციო N001474, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 0 (ნული) ლარი) , უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი:ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

მოამზადა

აპარატის უფროსის მ/შ მ. ბერაძე

შეთანხმებულია

კომისიის თავმჯდომარე რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4825191106**
თარიღი: **10/07/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ- თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსარვატორიიდან 2025 წლის 4 ივლისის მიღება-ჩაბარების აქტით (თან ერთვის) უსასყიდლოდ, უვადოთ, სარგებლობის უფლებით გადმოეცა ერთი ერთეული მოძრავი აქტივი, კერძოდ: როიალი ,,ესტონია'', სერიული N5571; საინვენტარიზაციო N001474, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 0 (ნული) ლარი.

აიპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის'' მმართველის 2025 წლის 08 ივლისის N122/49 წერილისა (თან ერთვის) და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად, გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული, როიალი ,,ესტონია'' (სერიული N5571; საინ ვენტარიზაციო N001474, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 0 (ნული) ლარი.), უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს აიპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრს''.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი ,,4„ ივლისი 2025 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (შემდგომში - ,,კონსერვატორია"), წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ზაქარიას მიერ, და მეორე მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - ,,მუნიციპალიტეტის მერია"), წარმოდგენილი მერის მოვალეობის შემსრულებელი გრიგოლ ყურაშვილის მიერ, ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 25 ივნისის N02-61-A და 03 ივლისის N02-68-A ბრძანებების, საქართველოს კულტურის სამინისტროს 2025 წლის 24 აპრილის N 00019177 და წყალტუბოს მუნიციპალიტერტის მერიის 2024 წლის 23 აპრილის N48-4825113120 კორესპონდენციების საფუძველზე, კონსერვატორიამ უსასყიდლოდ, უვადოდ სარგებლობის უფლებით გადასცა, ხოლო მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო ერთი ერთეული მოძრავი აქტივი, კერძოდ: როიალი "ესტონია"- სერიული ნომერი 5571, საინვენტარიზაციო N001474, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 0 (ნული) ლარი.

მიიღო:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია

ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25

ს/კოდი:421272027

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

/გრიგოლ ყურაშვილი/

Grigoli Kurashvili 53001003699

Digitally signed by Grigoli Kurashvili
Date: 2025.07.04 10:47:21

გადასცა:

სსიპ –თბილისის ვანო სარაჯიშილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

მის.: ქ. თბილისი,
გრიბოედოვის ქ. N8-10
ს/კოდი: 203850813

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

/გიორგი ზაქარაია/

Giorgi Zakaraia 58001016282

Digitally signed by Giorgi Zakaraia
Date: 2025.07.04 15:00:56

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"

ს/კ 421272027 5400 ქ. წყალტუბო, დედა ენის ქ. №2 ☎995 577 57 62 76 (0 436) 22 22 29

N 122/49
08/07/2025

49-122-2-202507081254

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ **გრიგოლ ყურაშვილს**

ბატონო გრიგოლ,

გთხოვთ, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ კერძოდ, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიიდან გადმოცემული მერიის საკუთრებაში არსებული როიალი გადმოგვცეთ უსასყიდლოდ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრს" თეიმურაზ კობაიძის სახელობის სამუსიკო სკოლისთვის.

ნინო ხურცია

მმართველი
ა(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა